

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 1 ივნისის დადგენილება №249 „ვაჭრობაში ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების მიზნით შესწავლის განხორციელების წესისა და პროცედურების დამტკიცების შესახებ“

2021 წლის 1 ივნისს ძალაში შევიდა საქართველოს მთავრობის დადგენილება, რომლითაც განისაზღვრება ვაჭრობაში ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების მიზნით შესწავლის განხორციელების წესი და პროცედურები.

შესწავლაზე უფლებამოსილი განმცხადებელი

- შესწავლაზე განცხადების წარდგენაზე უფლებამოსილია:
  - ადგილობრივი ინდუსტრია*, რომელიც აწარმოებს შესწავლის ობიექტის მსგავს პროდუქტს;
  - ადგილობრივი ინდუსტრიის სახელით მოქმედი ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირის ან იურიდიული პირის სტატუსის არმქონე ნებისმიერი გაერთიანების მიერ.

წინასწარი ანტიდემპინგური ღონისძიება

- დადგენილების მიხედვით, თუ მტკიცებულებების შესწავლამდე აშკარაა, რომ იმპორტი დემპინგურია და იგი ზიანს აყენებს ადგილობრივ ინდუსტრიას ან ქმნის ზიანის მიყენების საფრთხეს, კონკურენციის სააგენტო შეიმუშავებს წინასწარ დასკვნას წინასწარი ანტიდემპინგური ტარიფის ან უზრუნველყოფის ფორმის დაწესების თაობაზე.

- წინასწარი ანტიდემპინგური ტარიფი გამოიყენება არაუმეტეს 4 თვისა, ან, შესწავლის ორგანოს გადაწყვეტილებით, შესაბამისი დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე, არაუმეტეს 6 თვის ვადით.

*ვაჭრობაში ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების შესახებ" საქართველოს კანონის მიხედვით, ადგილობრივი ინდუსტრია არის ყველა მწარმოებელი, რომლებიც საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე (გარდა თავისუფალი ინდუსტრიული ზონებისა) აწარმოებს მსგავს პროდუქტს, ან მსგავსი პროდუქტის მწარმოებელთა ერთობლიობა, რომელთა წარმოების საერთო წილი შეადგენს მთლიანი ადგილობრივი წარმოების ძირითად ნაწილს,

წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2 ივნისი 2021

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 1 ივნისის დადგენილება №251 „წინასწარი ანტიდემპინგური ღონისძიებისა და სპეციალური ანტიდემპინგური ტარიფის ადმინისტრირების წესის შესახებ“

2021 წლის 1 ივნისს ძალაში შევიდა მთავრობის დადგენილება, რომლითაც განისაზღვრება წინასწარი ანტიდემპინგური ღონისძიებებისა და სპეციალური ანტიდემპინგური ტარიფის ადმინისტრირების წესი.

ადმინისტრირების განმახორციელებელი ორგანო

- დადგენილების მიხედვით, წინასწარი ანტიდემპინგური ღონისძიებისა და სპეციალური ანტიდემპინგური ტარიფის ადმინისტრირებას ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური.

- იმ პროდუქტის იმპორტში დეკლარირებისას, რომელზეც შემოღებულია წინასწარი ანტიდემპინგური ღონისძიება, დეკლარანტი ვალდებულია, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების შესაბამისად:
  - წინასწარი ანტიდემპინგური ტარიფის შესაბამისი თანხა გადარიცხოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სადეპოზიტო ანგარიშზე; ან
  - უზრუნველყოფის ფორმით, წინასწარ შეფასებული ანტიდემპინგური ტარიფის შესაბამისი თანხა განათავსოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სადეპოზიტო ანგარიშზე ან წარადგინოს ამავე ოდენობის გარანტია.

გარანტიის სახეები

- წინასწარი ანტიდემპინგური ღონისძიების უზრუნველყოფის ფორმით წარსადგენი გარანტიის სახეებია:
  - საბანკო გარანტია;
  - ფინანსური რისკის დაზღვევის პოლისი.

წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2 ივნისი 2021

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის დადგენილება № 221 „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე

2021 წლის 19 მაისს ძალაში შევიდა საქართველოს მთავრობის № 221 დადგენილება ტყითსარგებლობის წესის შესახებ.

- დადგენილებით, მათ შორის, განსაზღვრულია:
  - ტყითსარგებლობის სახეები;
  - სპეციალური ტყითსარგებლობის უფლების მოპოვების სამართლებრივი საფუძვლები და წესი.

- დადგენილების მიხედვით, ტყითსარგებლობის სახეები, მათ შორის, მოიცავს შემდეგს:
  - განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობა;
  - საკურორტო, რეკრეაციული, სპორტული და სხვა კულტურულ-გამაჯანსაღებელი მიზნით ტყით სპეციალური სარგებლობა;
  - პლანტაციური მეურნეობის მოწყობის მიზნით ტყით სპეციალური სარგებლობა;
  - სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო მიზნებით ტყითსარგებლობა.

ტყითსარგებლობის სახეები

- განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობა დასაშვებია, მათ შორის, შემდეგი მიზნებისთვის:
  - განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროექტის განსახორციელებლად;
  - წყალმომარაგებისა და წყალარინების ინფრასტრუქტურის, ჰიდროკვანძების, ელექტროსადგურების, მილსადენების მშენებლობისთვის/ფუნქციონირებისთვის (მათ შორის რეკონსტრუქცია, რეაბილიტაცია, დემონტაჟი);
  - ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის ან/და ბუნებრივ რეზერვუარში გაზის საცავის მშენებლობისთვის/ფუნქციონირებისთვის;
  - გზების, ელექტროგადამცემი კომუნიკაციების, ელექტრონული ქსელებისა და არხების მშენებლობისთვის/ფუნქციონირებისთვის (მათ შორის, რეკონსტრუქცია, რეაბილიტაცია, დემონტაჟი) ან ამისთვის საჭირო საპროექტო ან/და საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების შესასრულებლად;
  - წიაღის შესასწავლად ან/და მოსაპოვებლად და სხვა.

განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობა

- სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო მიზნებით ტყითსარგებლობა შესაძლებელია სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო საქმიანობის ისეთი განხორციელებისას, რომელიც დაკავშირებულია ტყისთვის ზიანის მიუყენებლად ტყის რესურსების ამ საქმიანობის მიზნებისთვის აუცილებელი მოცულობითა და გონივრულ ფარგლებში გამოყენებასთან.

წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2 ივნისი 2021

აღნიშნული მასალა მომზადებულია მხოლოდ ზოგადი ინფორმაციის მიწოდების მიზნით და არ უნდა განიხილებოდეს პროფესიულ რეკომენდაციად. ამ მასალაში შემავალი ინფორმაციაზე დაყრდნობა შესაბამისი პროფესიონალური კონსულტაციის გარეშე არ არის მიზანშეწონილი. ამ მასალით PwC არ იღებს არანაირ გარანტიას (გამოხატულს ან ნაგულისხმევს) ინფორმაციის სიზუსტესა თუ სისრულეზე და არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი სახის შედეგებზე, გამოწვეული იქნება ეს თქვენი ან სხვა ვინმეს ქმედებით დაეყრდნოს ამ ინფორმაციას და/ან მიიღოს გადაწყვეტილება შესაბამისი კონსულტაციების გარეშე.

© 2021 PwC. ყველა უფლება დაცულია. "PwC" ნიშნავს შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველოს როგორც წევრ ფირმას, და ზოგ შემთხვევაში PwC-ის ქსელს, რომელშიც შემავალი თითოეული ფირმა არის ცალკე და დამოუკიდებელი იურიდიული პირი. დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ www.pwc.com/structure.

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის № 222 დადგენილება საინვესტიციო გეგმის წარდგენისა და საინვესტიციო გეგმასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე

2021 წლის 19 მაისს გამოქვეყნდა საქართველოს მთავრობის დადგენილება, რომლითაც განისაზღვრა საინვესტიციო გეგმის წარდგენისა და საინვესტიციო გეგმასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების წესი.

დადგენილების მიზანი

- დადგენილების მიზანია „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისათვის საინვესტიციო გეგმის წარდგენისა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურების დადგენა.

- დადგენილების მიხედვით, დადგენილების მიზნებისთვის, საინვესტიციო გეგმა არის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის გამოყენების ამსახველი დოკუმენტაცია, რომელიც ითვალისწინებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ან/და სხვა პროდუქციის წარმოების, ინოვაციური საქმიანობის დანერგვის, ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობის, საერთაშორისო, სახელმწიფოებრივი ან/და ადგილობრივი მნიშვნელობის პროექტების შესრულების მიზნით ინვესტიციის განხორციელებას, რაც ხელს შეუწყობს სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, ეროვნული უსაფრთხოების დაცვას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას.

საინვესტიციო გეგმის განხილვისა და შესრულების პროცესი

- საინვესტიციო გეგმის განხილვისა და შესრულების პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:
  - საინვესტიციო გეგმის თაობაზე განაცხადის წარდგენა;
  - განაცხადის საქართველოს კანონმდებლობისა და ამ წესის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;
  - საინვესტიციო გეგმის განხილვა;
  - საინვესტიციო გეგმაზე გადაწყვეტილების მიღება;
  - შეთანხმების გაფორმება;
  - საინვესტიციო გეგმის შესრულების ზედამხედველობა.

წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2 ივნისი 2021

აღნიშნული მასალა მომზადებულია მხოლოდ ზოგადი ინფორმაციის მიწოდების მიზნით და არ უნდა განიხილებოდეს პროფესიულ რეკომენდაციად. ამ მასალაში შემავალი ინფორმაციაზე დაყრდნობა შესაბამისი პროფესიონალური კონსულტაციის გარეშე არ არის მიზანშეწონილი. ამ მასალით PwC არ იღებს არანაირ გარანტიას (გამოხატულს ან ნაგულისხმევს) ინფორმაციის სიზუსტესა თუ სისრულეზე და არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი სახის შედეგებზე, გამოწვეული იქნება ეს თქვენი ან სხვა ვინმეს ქმედებით დაეყრდნოს ამ ინფორმაციას და/ან მიიღოს გადაწყვეტილება შესაბამისი კონსულტაციების გარეშე.

© 2021 PwC. ყველა უფლება დაცულია. "PwC" ნიშნავს შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველოს როგორც წევრ ფირმას, და ზოგ შემთხვევაში PwC-ის ქსელს, რომელშიც შემავალი თითოეული ფირმა არის ცალკე და დამოუკიდებელი იურიდიული პირი. დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ www.pwc.com/structure.

საქართველოს კანონის პროექტი „მეწარმეთა შესახებ“

2021 წლის 28 მაისს საქართველოს პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო კანონის პროექტი „მეწარმეთა შესახებ“. კანონის პროექტი არეგულირებს შემდეგ საკითხებს:

ხელმძღვანელი

- სამეწარმეო საზოგადოებაში ხელმძღვანელი პირის საკითხი:
  - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას/სააქციო საზოგადოებას/კოოპერატივსა და ხელმძღვანელ პირს შორის იდება სასამსახურო ხელშეკრულება. აღნიშნულ ხელშეკრულებაზე არ ვრცელდება შრომის სამართლის დებულებები.
  - ხელმძღვანელი პირი თანამდებობაზე ინიშნება არაუმეტეს 3 წლის ვადით, ხელახლა დანიშვნის უფლებით, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
  - თუ ვადის ამოწურვის შემდეგ არ შეიცვლება ხელმძღვანელი პირი რეესტრში, რეგისტრირებული პირის უფლებამოსილების ვადა ითვლება გაგრძელებულად განუსაზღვრელი ვადით.

საფირმო სახელწოდება

- საფირმო სახელწოდება:
  - მეწარმის, გარდა ინდივიდუალური მეწარმისა, საფირმო სახელწოდება უნდა განსხვავდებოდეს უკვე რეგისტრირებული სახელწოდებისგან.
  - სახელწოდება უნდა შეიცვალოს თუ ეს საჭიროა სხვა კომპანიის სახელწოდებისგან განსასხვავებლად.

ხარვეზიანი საზოგადოება

- თუ საზოგადოების რეგისტრირებული მონაცემები აღარ შეესაბამება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ რეგისტრაციის სავალდებულო პირობებს, მარეგისტრირებელი თავისივე ინიციატივით ანიჭებს ხარვეზიანი საზოგადოების სტატუსს.
- კანონის პროექტის მიხედვით, კანონის ამოქმედებამდე რეგისტრირებული საწარმო ვალდებულია, სარეგისტრაციო მონაცემები შესაბამისობაში მოიყვანოს ამ კანონის მოთხოვნებთან კანონის ძალაში შესვლიდან 2 წლის ვადაში.

წყარო: საქართველოს პარლამენტი 2 ივნისი 2021

დაგვიკავშირდით.

მოხარული ვიქნებით მოგაწოდოთ დამატებითი ინფორმაცია, თუ რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს მითითებულ ცვლილებებს თქვენს ბიზნეს საქმიანობაზე.

სერგი კობახიძე
პარტნიორი, საგადასახადო და იურიდიული პრაქტიკა
sergi.kobakhidze@pwc.com

ვანო გოგელია
იურიდიული პრაქტიკის ხელმძღვანელი
vano.gogelia@pwc.com

აღნიშნული მასალა მომზადებულია მხოლოდ ზოგადი ინფორმაციის მიწოდების მიზნით და არ უნდა განიხილებოდეს პროფესიულ რეკომენდაციად. ამ მასალაში შემავალი ინფორმაციაზე დაყრდნობა შესაბამისი პროფესიონალური კონსულტაციის გარეშე არ არის მიზანშეწონილი. ამ მასალით PwC არ იღებს არანაირ გარანტიას (გამოხატულს ან ნაგულისხმევს) ინფორმაციის სიზუსტესა თუ სისრულეზე და არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი სახის შედეგებზე, გამოწვეული იქნება ეს თქვენი ან სხვა ვინმეს ქმედებით დაეყრდნოს ამ ინფორმაციას და/ან მიიღოს გადაწყვეტილება შესაბამისი კონსულტაციების გარეშე.

© 2021 PwC. ყველა უფლება დაცულია. "PwC" ნიშნავს შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველოს როგორც წევრ ფირმას, და ზოგ შემთხვევაში PwC-ის ქსელს, რომელშიც შემავალი თითოეული ფირმა არის ცალკე და დამოუკიდებელი იურიდიული პირი. დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ www.pwc.com/structure.